ცვლილება დამტკიცებულია

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის

აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი №10

„20" 10 2021წ.

რექტორი: მარინა ფირცხალავა

შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის

სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის (შემდგომში – უნივერსიტეტი) სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, დებულების, სხვა ნორმატიული აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 2. სტუდენტთან ურთიერთობის სამსახურის ფუნქციები

სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის ფუნქციებია:

ა. უნივერსიტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობა;

ბ. უნივერსიტეტის ქართველ და სხვა ეროვნების სტუდენტთა შორის მჭიდრო და ტოლერანტული ურთიერთობების დამყარების ხელშეწყობა;

გ. სტუდენტებთან, სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, სტუდენტური პროექტების და ნოვატორული ინიციატივების ხელშეწყობა და მისი კოორდინაცია;

დ. კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს პროფესორ-მასწავლებლებთან, უნივერსიტეტის სამეცნიერო წრეებთან, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს, წინადადებებს და ა.შ.;

ე. სამსახურს უფლება აქვს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, უნივერსიტეტის სახელით ურთიერთობა დაამყაროს ადგილობრივ და უცხოეთის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

ვ. სამსახურის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სტუდენტთა შორის სპორტული და კულტმასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლა და მათი სხვადასხვა შემოქმედებით კლუბებში გაერთიანება და დასაქმება, შიდა საუნივერსიტეტო სპორტული ღონისძიებების ჩატარება,

ქვეყნის შიგნით გამართულ სპორტულ შეჯიბრებებსა და საქველმოქმედო, ტურისტულ, შემეცნებით, გარემოს დაცვით და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა;

ზ.დაამყაროს ურთიერთობა პოტენციულ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების ხელშწყობის მიზნით.

თ. სამსახურის მოვალეობაში შედის აწაარმოოს კურსდამთავრებულთა ბაზა, მათი შემდგომი განვითარების და სამსახურეობრივი პოზიციების მითითებით.

ი. სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების მოწყობა, შემდგომი მათი დასაქმებისა და განვითარების მიზნით

კ. უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით მასზე დაკისრებული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 3. სტუდენტებთან ურთიერთიერთობის სამსახურის უფროსი

1. სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.
2. სამსახურის უფროსის თანამდებობაზე შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესის გათვალისწინებით/დაცვით.
3. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
4. სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია სასწავლო დარგში რექტორის მოადგილის წინაშე.
5. ყოველი სემესტრის ბოლოს რექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში წარუდგენს საქმიანობის ანგარიშს.
6. სამსახურის უფროსი:

-ხელმძღვანელობს სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სტუდენტებთან ურთიერთობის ფუნქციების შესრულებაზე;

-ხელს აწერს ან ვიზირებას უკეთებს სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს;

-კოორდინაციას უწევს სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის ურთიერთობას უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან;

-გეგმავს სტუდენტთა მაქსიმალურ ჩართულობას კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებებში;

მუხლი 4. სპორტის მიმართულება

1. სპორტის მიმართულების ძირითად მიზანს წარმოადგენს გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების მომზადება და ჩატარება უნივერსიტეტის სტუდენტთათვის.

2. სპორტის მიმართულების მიზანია უნივერსიტეტში სტუდენტების მაქსიმალურად დაკავება სპორტულ სექციებში, რათა ხელი შეეწყოს მათში ჯანსაღი ცხოვრების წესების დაფუძნებას და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობით უნივერსიტეტის სახელის წარმოჩინებას.

3. სპორტის მიმართულების მიზნების მისაღწევად ახდენს ახალგაზრდების მომზადებისა და გაწვრთნის ორგანიზებას, მათთვის მისაღებ სპორტის სახეობებში, პრიორიტეტული სპორტის სახეობების განსაზღვრას, სპორტული მონაცემების მქონე სტუდენტების მუდმივ სელექციას.

4. სპორტის მიმართულება ორგანიზებას უწევს სპორტული-მასობრივი და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების მოწყობას უნივერსიტეტის ფარგლებში და მის ფარგლებს გარეთ. თანამშრომლობს ცალკეულ სპორტის სახეობათა ფედერაციებთან და ახორციელებს კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს.

მუხლი 5. კულტურის მიმართულება

1. კულტურის მიმართულება ახორციელებს კულტურული ღონისძიებების ჩატარებას, სტუდენტთა დაინტერესებას ხელოვნების დარგებით (თეატრალური ხელოვნება, ფერწერა, ქორეოგრაფია, სიმღერა და ა.შ.), მათი აქტიური მონაწილეობით ახალი პროექტების შექმნასა და განხორციელებას.

2. კულტურის განყოფილების მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტთა კულტურული მიმართულებით განვითარების ხელშეწყობა, როგორც თბილისში, ასევე საზღვარგარეთ. სტუდენტების ხელოვნების წარმოჩინებით უნივერსიტეტის სახელის გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის.

მუხლი 6. ტურიზმის მიმართულება

1. ტურიზმის მიმართულება ორგანიზებას უწევს ლაშქრობებს, ექსკურსიებს სტუდენტთა დასვენებისა და განტვირთვისათვის და სხვა ღონისძიებებს.

2. ტურიზმის მიმართულების მიზანია სტუდენტებისთვის ქვეყნის ბუნებრივი პირობების შეცნობა, ისტორიულ-კულტურულ ძეგლთა გაცნობა, ქართველ და სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებს შორის მჭიდრო ურთიერთობების დამყარების ხელშეწყობა.

მუხლი 7. დასაქმებისა და პროფესიული განვითარების მიმართულება

დასაქმებისა და პროფესიული განვითარების მიმართულება უზრუნველყოფს:

1. სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების გამართვა.
2. სტუდენტების სტაჟირებების ხელშეწყობა.
3. სტუდენტების ხანმოკლე და გრძელვადიანი დასაქმების ხელშეწყობას.
4. სხვა ტიპის პროფესიულ და საგანმანათლებლო პროექტებში ჩართულობას.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

1. სამსახურის დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო;
2. სამსახურის დებულების გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.